

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“

განცხადება

ჟურნალისტ ვახო სანაიას და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობას შორის გამართული შეხვედრის ამსახველ კადრებიდან ნათლად ჩანს, რომ

- 1) თავად სანაიას მტკიცებით, საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთობის პერიოდში არ ყოფილა მის სარედაქციო გადაწყვეტილებებში ჩარევის არც ერთი მცდელობაც კი. ეს ფაქტი სანაიამ არაერთხელ საჯაროდ დაადასტურა
- 2) სანაიას სურვილს წარმოადგენდა გადაცემის (ვახო სანაიას რეპორტაჟი) ფორმატის ტრანსფორმირება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუდ, რასთან დაკავშირებითაც მან მიიღო შეპირება გენერალური დირექტორისგან, რომ მისი მოთხოვნის შესაბამის კონტრაქტს შესთავაზებდნენ მეორე დღესვე (2012 წლის 9 ოქტომბერს).

საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობამ შეასრულა დანაპირები და ბატონ სანაიას გადასცა ახალი შრომითი კონტრაქტის ფორმა ([იხ. ბმული](#)), რომლის თანახმად, ვ. სანაია უნდა ყოფილიყო პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანი შესაბამისი ანაზღაურებით. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და საჯარო ორგანიზაციებში, მათ შორის, საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებული პროცედურების დაცვით, გაუქმებული იქნა ვ. სანაიას წინა კონტრაქტი ([იხ. ბმული](#)). საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობისთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ვ. სანაიამ უარი განაცხადა თავისივე მოთხოვნით საზოგადოებრივი-პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანობაზე. რაც შეეხება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივ პროექტს “ევროპული არჩევანი“, კონტრაქტის თანახმად, არც მაუწყებელს და არც ევრაზიის ფონდს არ გააჩნია არანაირი პერსონალური ვალდებულება ვ. სანაიას მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ პროექტის წამყვანი იყოს კონკრეტულად ვ. სანაია და შესაბამისად, პროექტის არსებობა არ არის დამოკიდებული იმაზე, წაიყვანს თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადაცემას ვ. სანაია ([იხ. ბმული](#)).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაუგებარია ბატონი სანაიას პრეტენზიები მაუწყებლის მიმართ, რომელთა ტირაჟირებასაც იგი ამ ბოლო დროს უხვად ეწევა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სრულიად უსაფუძვლოა მისი ბრალდება, თითქოსდა მის მიმართ “გამოყენებული სანქციები“ უკავშირდება სტუდენტური ჯგუფების მიერ გამართულ აქციაში მის გამოჩენას, ვინაიდან ამ აქციაზე ვ. სანაიასთან ერთად გამოჩნდა ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ეკა კვესიტაძეც, რომელსაც მისი სამოქალაქო პოზიციის გამოხატვის გამო მაუწყებლის ხელმძღვანელობასთან პრობლემა არ შექმნია.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობისათვის სრულიად გაუგებარია საინფორმაციო პროგრამა მოამბის წამყვანის ნინო თოლორდავას მოქმედება. საზოგადოებისთვის განვმარტავთ, რომ საინფორმაციო პროგრამის წამყვანის ფუნქციაა საინფორმაციო პროგრამა “მოამბის“ ჟურნალისტთა საავტორო სიუჟეტებისა და რეპორტაჟების ნახვა, ნანახის გააზრება, სიუჟეტისთვის ავტორთან შეთანხმებული მოკლე ტექსტის მომზადება და საინფორმაციო პროგრამის წყევანა. შესაბამისად, საინფორმაციო პროგრამის წამყვანი არ არის ჩართული შემოქმედებით პროცესში და აქედან გამომდინარე, მასზე ზეწოლის განხორციელება შეუძლებელია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნ. თოლორდავა არავის არ გაუთავისუფლებია საზოგადოებრივი მაუწყებლიდან. გამომდინარე აქედან, მაუწყებლობის ხელმძღვანელობა მზად არის მოისმინოს ნ. თოლორდავას არგუმენტირებული პრეტენზიები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, ვაცხადებთ, რომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობა კვლავაც მზად არის საზოგადოებას მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების შესახებ.